

ეშრეფ ილმაზის პოეზიის ქართული თარგმანის შესახებ

ON THE GEORGIAN TRANSLATION OF EŞREF YILMAZ'S POETRY

გია ხოფერია

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Gia Khoperia

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

ეშრეფ ილმაზი, იგივე გოდერძი მახარაძე – სტამბოლში ქართული კულტურის ცენტრის ასოციაციის პრეზიდენტი – არაერთი წიგნის ავტორია. მას გამოქვეყნებული აქვს პოეტური კრებულები: „გულის ფერი“, „ლექსიანი თვალების ტკივილი“, ასევე, თურქულად თარგმნილი ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები.

წარმოდგენილ წერილში განხილულია ეშრეფ ილმაზის ქართულად თარგმნილი ლექსების წიგნი „თვალცრემლიანი პოეზია“. ეს ლექსები თარგმნა ცნობილმა პოეტმა და ლიტერატურათმცოდნემ ომარ გვეტაძემ.

ეს კრებული დაიბეჭდა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და ფინანსური უზრუნველყოფით.

ცხადია, დიდი ინტერესით გავეცანით ჩვენი თანამემამულის პოეტურ შემოქმედებას, მთარგმნელსაც თავი რომ გამოუდვია და დიდებულად აუმეტყველებია ჩვენს ენაზე ეშრეფ ილმაზის მართლაც საყურადღებო მხატვრული სამყარო.

ლექსების ამ კრებულს „თვალცრემლიანი პოეზია“ ეწოდება და მართლაც არაერთ ტკივილსა და საწუხარზეა გამახვილებული ყურადღება ამ ლექსებში, რომელთა მხატვრული სივრცე, მუსიკალური დიაპაზონი და პრობლემატურობა შესანიშნავადაა შენარჩუნებული თარგმანშიც და ამდენად მკითხველს ეძლევა საშუალება, დაინახოს, წარმოიდგინოს და შეაფასოს პოეტის შესაძლებლობანი.

ეშრეფ ილმაზის პოეტური ნიმუშები წარმოსახვისა და აზროვნების შესანიშნავ სინთეზს იძლევა. პოეტის მსოფლმხედველობა, მისი მიზანსწრაფულობა თანდათან მოიცავს ხოლმე ჩვენს გონებას განათებული მეტაფორებითა და მელოდიურობით. მისი სათქმელი, მისი თემატიკა არაა მშრალი წინადადებების გროვა. პოეტის არა მხოლოდ თვალთახედვა, არამედ ამ თვალთახედვის მხატვრულად გარდაქმნის პროცესი ბევრად თავისებური და განსხვავებულია ქართული პოეტური ტრადიციებისათვის,

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელმა შეძლო არ დაეკარგა პოეტის ორიგინალური შეხედულებები, თანაც სათანადოდ წარმოედგინა თურქულენოვანი პოეზიის ორიგინალური სახე და ხელოვანება.

მოცემულ წერილში ვეცადეთ, რაც შეიძლება ახლოს მივსულიყავით ემრეფ ილმაზის პოეტურ სამყაროსთან და სათანადო მხატვრული მონაკვეთების წარმოდგენით გვეჩვენებინა ამ ლექსების წიგნის აქტუალობა და, ბუნებრივია, მთარგმნელის ოსტატობაც.

საკვანძო სიტყვები: თურქეთელი ქართველები, ემრეფ ილმაზი, ქართული თარგმანები.

ABSTRACT

Eşref Yılmaz, also known as Goderdzi Makharadze, is the president of the Association of the Georgian Culture Center in Istanbul and the author of numerous books. Among his published works are poetry collections including *The Color of the Heart* and *The Pain of Poetic Eyes*, in addition to the finest examples of Georgian poetry translated into Turkish.

The article addresses the collection of poems titled *Tearful Poetry* by Eşref Yılmaz, translated into Georgian. Renowned poet and literary scholar Omar Gvetadze completed the translation of these works. This publication was made possible through the support and financial aid of Akaki Tsereteli State University.

Unquestionably, we approached the poetic works of our compatriot with great curiosity. The translator has clearly committed himself to the task and has masterfully rendered Eşref Yılmaz's truly remarkable artistic world into our language.

Entitled *Poetry with Tears*, this collection effectively captures the prevalent themes of sorrow and suffering. The poetic atmosphere, musicality, and thematic complexity of the original texts are excellently preserved in the translation, allowing readers to observe, envision, and appreciate the poet's creative potential.

Eşref Yılmaz's poetic works offer a wonderful blend of imagination and thought. The poet's worldview and determination gradually captivate our minds with vivid metaphors and musicality. His message and themes are more than a mere collection of dry statements. The poet's perspective, together with its artistic transformation, is distinctly unique within the context of Georgian poetic traditions. However, it is important to acknowledge that the translator has succeeded in preserving the poet's original vision while accurately rendering the structural and aesthetic characteristics of Turkish poetry.

In this article, our aim has been to explore Eşref Yılmaz's poetic world and, through selected passages, to highlight the importance of this volume and the translator's accomplished technique.

Keywords: Georgians in Turkey, Eşref Yılmaz, Georgian translations.

შესავალი

ემიგრანტი პოეტი ეკა ნადირაშვილი გაზეთ „აჭარის“ მკითხველებს ემრეფ ილმაზის, იგივე გოდერძი მახარაძის, შესახებ აუწყებდა: „რვა წლის წინათ, სანამ ემრეფ ილმაზი „ქართული ენის ცენტრს“ დააარსებდა, მანამდე „ქართული კულტურის ცენტრს“ ხელმძღვანელობდა, რომელიც რამდენიმე ჩვენებურის ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიქმნა. „ქართული ენის ცენტრში“ მისვლისას დაგხვდებოდა ქართული სული, ქართული ბიბლიოთეკა, ქართველი კლასიკოსების ფოტოებით გადაჭედილი კედელი. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ყურადღებას განსაკუთრებით იმსახურებს და მიიპყრობს, ბატონი გოდერძის ქართული სტუმართმოყვარეობა. იგი გახლავთ პოეტი, მთარგმნელი, პროფესიით თურქოლოგია, ასევე მუშაობდა სტამბოლის სახელმწიფო ორ უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ლექტორად, ლექციებს კითხულობდა ქართულ ენაზე. მას უყვარს თავისი დედისამშობლო საქართველო და ქართველები. ძალიან ბევრი გააკეთა და აკეთებს, რომ ქართული კულტურა გააცნოს მეგობარ თურქებს...“ (ნადირაშვილი 2022: 5).

ქალბატონი ეკა გახლავთ „ქართული ენის ცენტრში“ ემრეფ ილმაზის მოადგილე და მისი ყოველი სიტყვა სარწმუნოა.

ჩვენ კი მანამდეც ვიცოდით ბატონი ემრეფის მოღვაწეობის შესახებ. საკმარისი იქნება პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის „თურქული დღიურებიდან“ ერთი ამონარიდის შემოთავაზება: „სტამბოლში გაცნობილ ჩვენებურთაგან ასევე ცალკე მინდა მოვიხსენიო 2008 წლის აპრილში შექმნილი ქართული კულტურის ცენტრის ასოციაციის პრეზიდენტი ემრეფ ილმაზი (მახარაძე)“ (ნიკოლეიშვილი 2010: 186).

ემრეფ ილმაზი არაერთი წიგნის ავტორი გახლავთ. მას გამოქვეყნებული აქვს პოეტური კრებულები: „გულის ფერი“, „ლექსიანი თვალების ტკივილი“, ასევე, თურქულად თარგმნილი ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები.

კვლევის მეთოდები

წარმოდგენილ წერილში განხილულია ემრეფ ილმაზის (გოდერძი მახარაძის) ქართულად თარგმნილი ლექსების წიგნი „თვალცრემლიანი პოეზია“. კრებული თარგმნა ცნობილმა პოეტმა და ლიტერატურათმცოდნემ ომარ გვეტაძემ. კვლევისას გამოვიყენეთ აღწერითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდები.

მსჯელობა

ემრეფ ილმაზის ქართულად თარგმნილი ლექსების კრებულს ახლავს პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წინასიტყვაობა – „ჩვენი სტამბოლელი მოძმის პოეტური გულისთქმა“, სადაც ავტორი ყურადღებას აქცევს ემრეფ ილმაზის საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად მის პოეტურ მიღწევებს - ორიგინალურ და ქართულიდან თარგმნილ ლექსებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჯერ კიდევ 2014 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცემულ „უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ შეტანილ იქნა ემრეფ ილმაზის ორი ლექსი – „საგოდავი“ და „ჯეირანი ლაღეში“. ასევე, მაღალ შეფასებას აძლევს ომარ გვეტაძის მიერ თარგმნილ ლექსებს და მიაჩნია, რომ ემრეფ ილმაზის ქართულად თარგმნილი ლექსების პირველი წიგნის ავტორი „ქართული წიაღისაგან ფიზიკური სიშორის მიუხედავად თავისი

ეროვნული ცნობიერებით კვლავაც რჩება ამ წიაღის სისხლხორცეულ ნაწილად“ (ილმაზი 2024: 12).

საინტერესო თარგმანი შემოგვთავაზა ომარ გვეტაძემ. ეს თარგმანი სტილურ-მეტრული თვალსაზრისით აბსოლუტურად განსხვავებულია ომარ გვეტაძის, როგორც პოეტის ხელწერისაგან. ამის ხაზგასმა იმიტომ დამჭირდა, რომ ხშირად ხდება ხოლმე, მთარგმნელი თავის სამყაროში თითქმის სრულიად მოაქცევს ნათარგმნ ტექსტს და ძალზედ ჭირს ორი ავტორის ერთმანეთისგან დაცილება. ამჯერად სრულიად სხვა სურათის წინაშე ვდგავართ. რა თქმა უნდა, გამომწვევად იმის თქმა, რამდენად ახლოსაა თარგმანი დედანთან, მაგრამ აშკარაა, ნამდვილად საქმე გვაქვს ისეთ ტექსტებთან, თავად მთარგმნელის ჩვენთვის ნაცნობი შემოქმედებითი ბუნებისთვის უცხო რომაა. რასაკვირველია, ჩვენი ცხოველი ინტერესი ამის გამო გაჩნდა, რაც ერთიორად გვიბიძგებს, გულისყურით მოვეკიდოთ ეშრეფ ილმაზის პოეტურ თვალთახედვას და არ გამოგვრჩეს მხედველობიდან ამ მხატვრული ნააზრევის თავისებურებანი.

უპირველეს ყოვლისა, თავისებურებათა ძიებისას თვალში საცემია ეშრეფ ილმაზის ლექსის სტრუქტურა, ორიგინალური ელფერით რომ გვთავაზობს ავტორის დამოკიდებულებას იმ გარემოსადმი, რომელშიც მოუწია ცხოვრება, რამაც ათასგვარი ტკივილითა და შეგრძნებებით ამოავსო მისი ცნობიერება, დაღი დააჩინა მის ყოველდღიურობას, მის არსებობას საერთოდ და ჩაფიქრებულ ბრძენ ადამიანად აქცია. პოეტი ცდილობს გაახშიანოს თავისი ფიქრები და რაც შეიძლება ახლოდან მოგვასმენინოს სალექსო სიტყვიერების მძაფრი ხმა, რასაც ემოციურად ახერხებს კიდეც და ზეგავლენას ახდენს მკითხველზე, ზოგჯერ დამთრგუნველსაც.

ეშრეფ ილმაზის ლექსი თავისუფალია სასვენი ნიშნებისაგან. მასში მოშლილია საზღვრები და სიტყვის თავისუფალი ძალაუფლებაა დამკვიდრებული. მასში მდინარესავით მიედინება პოეტის თვალთა აღქმული რეალობა და მოაქვს ზოგჯერ გასუფთავებული, უფრო ხშირად კი გაუფილტრავ-გაუცხრილავი სინამდვილე. რამდენადაც ჩანს, არსად მდოვრდება, არ იკარგება ჩვენკენ მოპირისპირებული ბილიკები. გულწრფელობაცა და უშურველობაც იმდენად ხელშესახებია, იოლად ექცევი პოეტის ნათელ სიმართლეში.

ეშრეფ ილმაზის პოეტური ნიმუშები წარმოსახვისა და აზროვნების შესანიშნავ სინთეზს იძლევა. პოეტის მსოფლმხედველობა, მისი მიზანსწრაფულობა თანდათან მოიცავს ხოლმე ჩვენს გონებას განათებული მეტაფორებითა და ბანგად მქცევი მელოდიურობით. მისი სათქმელი, მისი თემატიკა არაა მშრალი წინადადებების გროვა, არც ისეთი სიმწვანე, მალე რომ უფერულდება ან მზის პირველივე სხივები დააჭკნობენ. პოეტს ნამდვილად ყოფნის ძალა ახალი სიცოცხლე შესძინოს თავის ჩანაფიქრს, გაასულიეროს იგი და ჩააბუდოს მკითხველის ორბიტაში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეშრეფ ილმაზის არა მხოლოდ თვალთახედვა, არამედ ამ თვალთახედვის მხატვრულად გარდაქმნის პროცესი ბევრად თავისებური და განსხვავებულია ქართული პოეტური ტრადიციებისათვის, თუმცა კმაყოფილებით უნდა მივუთითო, რომ მთარგმნელმა შეძლო არ დაეკარგა პოეტის ორიგინალური შეხედულებები, თანაც სათანადოდ წარმოედგინა თურქულენოვანი პოეზიის ორიგინალური სახე და ხელოვანება.

ერთი შეხედვით, ასეთია ეშრეფ ილმაზის პოეზიის ინტერიერიცა და ექსტერიერიც, თუმცა სათანადო მაგალითები უფრო ახლოს მიგვიყვანს ამ შესანიშნავი მოაზროვნის პოეტურ სახლთან და ჩვენც შევეცდებით, რამდენადმე მაინც წარმოვაჩინოთ მისი ლექსების ხიზლი, თუ როგორ შემოდის ჩვენს სამფლობელოში მისი „თვალცრემლიანი პოეზია“...

როგორც იტყვიან, კაცი იმედით ცხოვრობს, იმედი ნუ მოგვიშალს ღმერთმა! ეშრეფ ილმაზიც იმედის მომცემი პოეტია. მისი ლექსი – „ჩვენი გწამდეთ შენებას შევძლებთ“ სწორედ იმედის მქონეებად გამოგვსახავს, ოღონდ, მისი აზრით, ბრძოლით მოპოვებულ იმედს ჰქონია მეტი ფასი. ალბათ ასეცაა. თუ მოვინდომებთ, ერთიანი ძალით დავამხოთ უსამართლობას, გავხდებით თავისუფალი, იმედიც იქვეა, კართან დგას, თავისუფლებამ იმედი უნდა შვას და იმედმა – თავისუფლება:

ცეკვა-თამაშით და ალმების ფრიალ-ფრიალით
მოედანს უნდა ტალღებით გადავუაროთ
ჩვენა ვართ ახლა სამართალიც
მისი დამცველიც
მღელვარებამ რომ მოადიდა
ის მდინარე ვართ
მზით დაფერილა ჩვენი სავალიც
მეხის გრგვინვაც კი ჩვენ ვიქნებით
ცეკვა-თამაშით და ალმების ფრიალ-ფრიალით
მოედანს უნდა ტალღებით გადავუაროთ
ტრაგედიასაც გაგვიცხადებს დაღვრილი სისხლი
მაგრამ გჯეროდეთ ყველაფერს შევძლებთ
ოღონდ ხელი ხელს ოღონდ მხარი მხარს
შეშურდეთ ჩვენი
ამ აღტაცებით
ყველაფერს შევქმნით და ავაშენებთ.

ასეცაა, თანადგომით, ერთმანეთის გვერდიგვერდ და ურთიერთგატანით აუცილებლად შეძლებენ ადამიანები ახალი ცხოვრების შექმნა-აშენებას.

თავისუფლებამ და იმედმა გამახსენა ეშრეფ ილმაზის „არაპოლიტიკური ლექსები“, უკრაინელი ქალის, გალინას, სვე-ბედზე მწარედ რომ ჩაგვაფიქრებს. სამშობლოდან გარიყული გალინა ზის უცხო სტამბოლში, როგორც პოეტი გვეუბნება და ატირებს გიტარას, ხოლო ირგვლივ „არაფრის მთქმელი და უმანკო განწყობა სუფევს გაკვირვებული სტუმრობის წესით“. ამ ლექსით მონაქსოვი ამბავი, მართალია, მხატვრულ გამოცანას არ წარმოადგენს, მაგრამ ადამიანური თანაგრძნობითა და ტკივილზიარობით ნამდვილადაა დაღდასმული.

ეშრეფ ილმაზს შეუძლია ნებისმიერი მანკიერი მოვლენა საგანგაშო მინიშნებებით გამოხატოს, ერთი ხელის მოსმით მოგვაქციოს თავის შეხედულებათა ბადეში. მაგალითად, მისი ლექსი – „ყმაწვილი მონადირე“ თავიდანვე თითქოს მოდუნებულად გამოიყურება, მაგრამ რამდენიმე წამიც და პოეტი ამბობს:

უნდა ესროლო მონადირე წესი წესია
ბედისწერა უცვალე წამში
მაგრამ შვლის ნუკრი უნდა
დარჩეს ხელუხლებელი.

უცებ ჩვენი ვაჟა-ფშაველა გაგვახსენდება და თვალწინ დაგვიდგება მისი ულამაზესი და უმწეო შვლის ნუკრი.

როცა ეშრეფ ილმაზის პოეტურ ტკივილებზე ვსაუბრობთ, უნდა გაგვახსენდეს „არწივები ცეცხლს ჰყრიან ახლა“. ამ ლექსში დაგუბებული განცდა და წუხილი იმდენადაა პოეტური თვალთა აწონილ-დაწონილი, თავბრუს გვახვევს და სისხლს გვიჩერებს გოდებისმაგვარი შემართებითა და თავგანწირვით. პოეტიც დარდიან ადამიანად ჩანს ყოველ ტაეპში, რომელიც ამბობს საშინელ სიმართლეს, ამხელს თანამედროვე ომის არნახულ მძვინვარებას და გამოუსწორებელ დანაშაულს. ეს ლექსი ტრაგიკული ელფერის მქონე სურათების ნაკრებია. მიუხედავად იმისა, რომ არსადაა დასმული სასვენი ნიშანი, თავისთავად გამოცალკევდება თითოეული ასეთი სურათთაგანი და კარგა ხანს მოგვიწევს მათთან დაყოვნება, ვინაიდან თანამედროვე არწივები, ანუ ყოვლისშემძლე ბომბდამშენები, ჩვენც გვაყრიან ცეცხლს თავზე. ახლანდელი მსოფლიო კატაკლიზმები, ატირებული დედებისა და ბავშვების მსოფლიო, გავანდალებული ადამიანი შეულამაზებლადაა აქ დახატული და შიშს გვგვრის ასეთი უგულობა და სიცივე ერთმანეთისადმი. ამიტომაც ცდილობს პოეტი ეს ჯოჯოხეთური გალერეა და ნატურმორტი დაუნდობლად ამხილოს და უკანასკნელ ნოტამდე ასწიოს თავისი ხმა:

ხმა ამოიღე მეგობარო
მთებში რომ ექომ დაიგუგუნოს
შენმა ძახილმა რკინის ფრთები ჩამოამსხვრიოს
ხმა ამოიღე რომ მკერდიდან
გული მტრედივით ამოფრთხილდეს.

ეშრეფ ილმაზი წმინდა წყლის ლირიკოსია. მისი სათქმელი ყოველთვის შეფერილია მძაფრი მელოდიურობით და რჩეული ბუნებრივი პორტრეტებით, რომელთა შემონათებისას თანდათან იძირები ლექსის სიღრმეში, ბალავერთან მიდიხარ და საფუძველშივე ჩატანებულ იდუმალებას ეზიარები.

ქვეტექსტურობისა და მეტაფორული განცდის მშვენიერი ნიმუშებია „ლამა ბეიოლლუში“, „ფურები“, „თანამოკალმემ უდღეური დაბადა ლექსი“, „ლუფერმა სიყვარული არ იცის“, „ის დღე“, „იბლიანი ჭიანჭველა“ და სხვ. ამ ლექსების დამწერი ნამდვილადაა ჭეშმარიტი პოეტი, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ მხატვრულად ღირებული ტექსტების შექმნა, არამედ მათი გაცოცხლება, მათი ამოძრავება. დიახ, ისინი მოსიარულე ტექსტები გახლავან და აფორიაქებენ მკითხველებს, მსმენელებს, გზად შემხვედრებს. ეს ლექსები მოგზაურობენ. მათ მოიპოვეს მოგზაურობის უფლება და სხვის სამფლობელოში დავანების ნება, ამჯერად ჩვენთან მოვიდნენ. ქართულმა სისხლმა თავისი ტალღები ისევ თავის სანაპიროსკენ გამოაქცია.

ვნახოთ, როგორი ტემპერამენტიანაა მოქსოვილი „ლამა ბეიოლლუში“:
ლამა აფურთხებს ბრაზიანად
ბაკირკიორის ჰორიზონტამდე
მოაზროვნე კაცს შეურაცხყოფს
მისი ქმედება
სინამდვილეში საკუთარ თავზე არის გამწყვრალი
მთვარის შუქზე წყლის სარკეში
თავის თავს ნერწყვავს

გული მოსდის
 ღამის მნათობზე
 ტყეში გზა - კვალი რომ აურია
 მთვარემ დახატა მისი სხეული
 ტბის ზედაპირზე
 დარჩა ბარათი
 ღამას ნერწყვით შეწებებული
 და ეს ამბავი მე კი არა
 მთვარემ მოგიტხროთ.
 ერთიც მოვისმინოთ ან წავიკითხოთ:
 თანამოკალმემ
 უდღეური დაბადა ლექსი
 არ განეცადა მშობლების ნატვრა
 ამ გრძნობას კი უძღვნა სტრიქონი
 თუ მონატრებამ მოაკითხა
 შენ არ იტყო
 და თუ ცრემლს დაღვრი
 მაგ ვარდისფერ ლოყებიდან
 ჩამოცვენილ მარგალიტებს
 შევაგროვებ ჩემს ყულაბაში
 სათვალეებით
 და გულზე ხელებდაკრეფილი
 აქეთ-იქით რომ ვიმზირებით
 ხვალ ყულაბაში
 შეგროვებულ იმ მარგალიტებს
 წითელ ღვინოში ჩავამატებ
 სიამოვნებით რომ უფრო დავთვრე
 ვინ არის ნეტავ
 ახლა კარზე ვინ აკაკუნებს?
 მზესუმზირის ყვავილით ხელში
 მონატრება ხომ არ დგას კართან?

ვფიქრობთ, ამ მშვენიერ ლექსს არავითარი „განხილვა“ და „ანალიზი“ არ სჭირდება. სულ გავაფუჭებთ შთაბეჭდილებებს, მასთან ურთიერთობისას რომ იბადებიან. მართლაც დიდებული ქმნილებაა, ნაწილობრივი ციტირებაც რომ არ უხდება, დანაწილება-დაცალკევებას ვერ იტანს, ერთიანი, განუყოფელი არსებაა. ჩათავდება, ისევ დაიწყება. ასე მეორდება და მეორდება. ამიტომაც არ დამიკლია ერთი მომცრო ტოტიც კი, ისე წარმოვადგინეთ...

„თვალცრემლიანი პოეზიის“ გაცნობისას მკითხველი გულგრილი ვერ დარჩება იმ ლექსების მიმართაც, რომლებშიც პოეტური პულსი ათასგვარ საფიქრალს აჩენს. სცილდები ამ ლექსების სიტყვიერ შემოსაზღვრულობას, გადიხარ მათი ტერიტორიიდან და ბევრი რამ წარმოგესახება საკუთარი ცხოვრებიდან, სრულიად ნაცნობი რომაა შენთვისაც, მაგრამ ყურადღება არ მიგიქცევია ან იმნაირად არ შეხებია მას შენი სული ფრთები, როგორაც ლექსმა წაგიბიძგა. ასეთი განცდები არაერთხელ დაგეუფლებათ, თუ გულდასმით წაიკითხავთ ლექსებს: „იმედის მდუმარება“, „გათენება

ბურსაში“, „მამას“, „ზღვა და მოედანი“, „ქალთევზა კაპრისია“, „შენ გქვია ქალი“, „რა ხდება ჩემო ოსტატო“ და კიდევ რამდენიმე ლექსიც, რომელთა მიკრომოცულობა, მიკროაუზი უფრო მეტ წყალტევადობის აღმოჩენება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ეშრეფ ილმაზის პოეტური აზროვნება საკმაოდ მოზრდილ ნატერფალებს ტოვებს, საიდანაც აშკარად მოჩანს მისი გამჭრიახი მსოფლმხედველობა, რეალობის მტკივნეული ბიძგები და ის ტკივილები, დრო-ჟამს უღმობლად რომ უბოძებია ადამიანისთვის და ღრმადაც ჩაბეჭდილა მის გონებაში.

ეშრეფ ილმაზის პოეტურ ყულაბაში წმინდა, გახანკალეზულ სიყვარულზეცაა თავმოყრილი მარგალიტები. მაგალითად, „ლექსი სიყვარულზე“ ან „დაგვიანებული ღიმილი“. კითხულობ მათ და თბები, ცოტა ნაღვლიანობაც დაგეტყობა, მაგრამ მაინც გულდიდი ხდები, ვინაიდან შენ ითვისებ და იღებ ლექს-სტუმარს საუკეთესო მუსიკიტა და დიდსულოვანებით. ეს ლექსები მართალი, უტყუარი განცდებისა და სურვილების კრებულია, ახალი სისხლია ადამიანისთვის, უკეთესად რომ გაუთენდეს, უკეთესად რომ იცოცხლოს, რომ უყვარდეს და უყვარდეს!

ეს რომ ნამდვილადაა ასე, სხვაგანაც დავინახეთ. მაგალითად, „მლიერი წვიმების“ ბოლოს პოეტი გვაუწყებს:

სიყვარულია
სარკმელთან რომ გალოდინებს
და მოთმინების ნიჟს თუ აღარ ფლობ
მაშინ გულს ჰკითხე
რა მწარეა ტრფობის ისარი.

როცა ესრეფ ილმაზის პოეზიაზე საუბრობ, არ უნდა გამოგრჩეს მისი ბავშვების პოეტური სამყარო, რამდენიმე ლექსში რომაა წარმოდგენილი „თვალცრემლიანი პოეზიის“ გადაფურცელისას. ესენია: „ბავშვი პეპელა“, „ბუღბუღი და ბავშვები“, „ჩემს ლექსს ჩიტის გული აქვს“, „ბავშვისთვალეზა ლექსები“, „მეთერთმეტე მცნება“ და სხვ.

განსაკუთრებით „მეთერთმეტე მცნებამ“ ჩამწყვიტა გული – „გაზით გაგუდულ ბავშვთაგოდება ცისკენ წასულა და ბრუნდება სისხლის წვეთებად და კამერებში დაღვრილი ცრემლიც საშინელი სინამდვილეა“ – წაიკითხავ ამ საშინელ სინამდვილეს და ენა ჩაგივარდება, წახდები ადამიანი.

ამის შემდეგ აუცილებლად „ბავშვი პეპელას“ უნდა გააყოლო თვალი და უმაღაიყოფა გონება შუაზე, რომელთაგან ერთი ნაწილი უნდა ახარო და აზეიმო, მეორე კი სამუდამოდ დაამხო:

ველურ ყვავილებს ვხატავ
ღამის სიმყუდროვეში
დილით ვტკბები მათი მშვენებით
საღამოს ბინდში
გზასავალზე
მიმიძღვის მთვარე
დილით ნესტიან ფრთებიდან კი
მზე ნამს მაშორებს
მზე თუ მთვარეზე იეჭვიანებს
მზესუმზირის ყვავილით ხელში
ვანუგებებ წყლების ლივლივში.

დასკვნა

ემრეფ ილმაზის ლექსების წიგნს ჰქვია „თვალცრემლიანი პოეზია“. ერთ წერილში ძნელია ამ ცრემლებით სრულყოფილად დასველება. ისინი ლექსების ღარიან ლოყებს ჩამოჰყვებიან ხოლმე და მოაქვთ პოეტის დაუოკებელი სულის ფოთლები, გულის ენა და თუ მეგობრობის ხელი არ გავუწვდინეთ, ობლად იგრძნობენ თავს.

ემრეფ ილმაზმა შეძლო სიცოცხლის ძვირფასობა დაეხატა, სიცოცხლის ხმა, შეძახილი, ომახიანობა ლექსად ამოეთქვა, ლექსად ამოემდერა.

ომარ გვეტაძემ კი ეს ხმა და ორკესტრულობა, მრავალფეროვანი პალიტრა ემრეფ ილმაზის პოეზიისა შთამბეჭდავად წარმოგვიდგინა და გვიზიარა, თანაც უშურველად.

გამოყენებული ლიტერატურა

ილმაზი 2024: ილმაზი ე., თვალცრემლიანი პოეზია. ქუთაისი, 2024.

ნადირაშვილი 2022: ნადირაშვილი ე. (ეკა სურამელი), აქ ქართული სული ხმინობს. გაზეთი „აჭარა“, №135, 2022.

ნიკოლეიშვილი 2010: ნიკოლეიშვილი ა., თურქული დღიურები. ქუთაისი, 2010.

References

Ilmaz 2024: Ilmaz E., Tearful Poetry. Kutaisi, 2024.

Nadirashvili 2022: Nadirashvili E. (Eka Surameli), Here the Georgian Spirit Resounds. Newspaper “Adjara”, №135, 2022.

Nikoleishvili 2010: Nikoleishvili A., Turkish Diaries. Kutaisi, 2010.